საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

594-01-07-2-201504141813

N 01-07/594
14/04/2015

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის ინსპექტორს
ქალბატონ თამარ ქალდანს

ასლი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), არჩევნების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარების მიზნებიდან გამომდინარე, პრიორიტეტად მიიჩნევს საქართველოს თითოეული მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვქონდეს ინფორმაცია იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული/ყრუ, უსინათლო) შესახებ, მათი დაბადების თარიღისა და პირადი ნომრების მითითებით, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ცესკომ 2014 წლის 20 თებერვალს №01-01/225, წერილობით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო თავის მხრივ საქართველოს შრომის,

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 0131, თბილისი, საქართველო
www.cesko.ge correspodence@cec.gov.ge
(995 32) 2 510051

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტომ, 2014 წლის 12 მარტს №04/20541, წერილობით მიმართა პერონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს. თქვენი, 2014 წლის 18 მარტის №40/01 წერილის თანახმად, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან მივიღეთ ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ რაიონების მიხედვით. ცესკომ მიღებული ინფორმაციის გამოყენება, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების დროს ვერ შეძლო, ვინაიდან არ იყო მითითებული კონკრეტულად, რომელ საარჩევნო უბანზე რა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ირიცხებოდა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველყოფისა და მათთვის საარჩევნო უბნების ადაპტირების მიზნით, გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი პოზიცია, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შეუძლია თუ არა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, მოგვაწოდოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

თამარ ჟვანია

კომისიის თავმჯდომარე

.